

შპს გ . დ პლასტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 405229603

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ქ.თბილისი

28.09.2020წ



შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფულის მოძრაობის უწყისი (cash flow).....	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები, შენიშვნები	8

შ.პ.ს. „გ.დ პლასტი“-ს ხელმძღვანელობის პასუხილმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გ.დ პლასტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებულ ოპერაციების შინაარსსა და შედეგებზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ✓ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

 /გ.გელაშვილი/

მთ.ბუღალტერი:

 /ბ.ბეროშვილი/



ს.კ. :2405229603

მის.: ორახელაშვილის ქ.#5; ქ.თბილისი;

საქართველო; 0198

ტელ.: +995 599 033 050

eMail: gdplasti@gmail.com**G.D PLAST**

ID:405229603

Address: Orakhelashvili str.#5, Tbilisi, Georgia; 0198

TEL.: +995 599 033 050

eMail: gdplasti@gmail.com**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

კომპანიის დასახელება: შპს „გ.დ პლასტი“ (ს/ნ : 405229603) ფინანსური მდგომარეობა:

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	75748	193380	638472
სავაჭრო მოთხოვნები	492966	278213	0
გადახდილი ავანსები	30406	322221	427535
მარაგები	866911	821651	0
მზა პროდუქცია	182756	94521	0
სხვა	684155	727130	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	2986948	2850088	2551403
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	4452979	4465553	3617410
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	121258	83471	33538
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	500
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	4763410	4607182	3713888
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	4884668	4690653	3747926
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-431689	-225100	-130516
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-431689	-225100	-130516
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4452979	4465553	3617410

დირექტორი:  / გ. გელაშვილი/მთ. ბუღალტერი:  / გ. ბეროშვილი/

ს.კ.: 2405229603

მის.: ორახელაშვილის ქ.#5; ქ.თბილისი;

საქართველო; 0198

ტელ.: +995 599 033 050

eMail: gdpласти@gmail.com**G.D PLAST**

ID:405229603

Address: Orakhelashvili str.#5, Tbilisi,
Georgia; 0198

TEL.: +995 599 033 050

eMail: gdpласти@gmail.com

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	3116893	1303622
საქონლის გაყიდვიდან	2989297	1203097
მომსახურების გაწევიდან	127596	100525
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2405143	1090966
საწყისი მარაგები	-821651	0
მარაგების შესყიდვა	-2444343	1795329
გადამუშავების დანახარჯები	-6060	-117288
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	711750	212656
სხვა შემოსავალი	86669	115798
დასაქმებულთა ანაზღაურება	-186417	-107381
ცვეთა და ამორტიზაცია	-55578	-60936
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-208823	-228176
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-566550	-116413
სულ საოპერაციო ხარჯები	-930699	-397108
საოპერაციო მოგება	-218949	-184452
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	12360	90663
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-795
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-206589	-94584
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	-206589	-94584

დირექტორი:

/გ. გელაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/გ. ბეროშვილი/

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-206589	-94584
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	-225100	-130516
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-431689	-225100

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	112801	1004949
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-23362	-223066
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-209482	754323
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2411	28600
სავალუტო კურსის ეფექტი	-117632	-445092
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	193380	638472
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	75748	193380

დირექტორი:  / გ. გელაშვილი/მთ. ბუღალტერი:  / გ. ბეროშვილი/

ფულის მოძრაობის უწყისი (cash flow)- 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2019	2018
ფული პერიოდის დასაწყისში	193 380,00	638 472,00
საოპერაციო საქმიანობა		
შემოსავალი	3 653 121,19	1 247 397,67
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 653 121,19	1 247 397,67
გასავალი	3 540 319,97	2 252 346,62
საოპერაციო ხარჯები (ზანკი)	3 540 319,97	2 252 346,62
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	112 801,22	- 1 004 948,95
საინვესტიციო საქმიანობა		
შემოსავალი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
სხვა შემოსავალი	-	-
გასავალი	23 362,37	223 066,01
ძ/ს შეძენა	23 362,37	223 066,01
ინვესტიციები სხვა საწარმოში	-	-
სხვა გასავალი	-	-
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	- 23 362,37	- 223 066,01
ფინანსური საქმიანობა		
შემოსავალი	269 390,00	989 307,09
საწესდებო კაპიტალში	-	-
სესხი	269 390,00	984 240,50
სხვა შემოსავალი	-	5 066,59
გასავალი	476 460,85	206 384,13
დივიდენდი	-	-
სესხის ძირის გადახდა	113 161,33	84 705,60
პროცენტის გადახდა	94 880,90	93 078,56
სესხის გაცემა	-	-
სხვა გასავალი	268 418,62	28 599,97
ფული ფინანსური საქმიანობიდან	- 207 070,85	782 922,96
ფული პერიოდის ბოლოს	75 748,00	193 380,00

დირექტორი:

/ გ. გელაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/ გ. ბეროშვილი/

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები, შენიშვნები**1. ზოგადი ინფორმაცია შპს „გ.დ პლასტი“-ს შესახებ**

შპს „გ.დ პლასტი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 25 სექტემბერი 2017 თარიღში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, წყნეთის ქ., კორ.1, ბ.142 ;

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ლილოს დასახლება ორახელაშვილის ქ.#5;

დამფუძნებლები: ■ ნელი დათუკიშვილი, პირადი #: 01007003720, 50% წილის მმართველი;

■ ნანი გელაშვილი პირადი #13001001795; 50% წილის მმართველი;

ხელმძღვანელი: დირექტორი-■ გელა გელაშვილი პირადი #13001013276;

შპს „გ.დ პლასტი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პლასტმასის საფუთავების წარმოება, კერძოდ კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახისა და ტიპის ცელოფნის, როგორც ჩვეულებრივ ასევე ბრენდირებულ, შესაფუთ მასალას და ახდენს მათ როგორც საცალო ასევე საბითუმო რეალიზაციას.

კომპანიას გაფორმებული აქვს ლიზინგის ხელშეკრულება სს „თიბისი ლიზინგი“-თან, რომლის ფარგლებშიც განკარგავს ორ (პოლიეთილენის ფირის საწარმოო და ფლექსოგრაფიული) დანადგარს;

ორგანიზაცია ასევე ჩართულია „აწარმოე საქართველოს“ პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხდება ზემოთ აღნიშნული სალიზინგო ვალდებულების ნაწილობრივი თანადაფინანსება.

შპს „გ.დ პლასტი“-ს აღებული აქვს ერთ-ერთი დამფუძნებლისგან, ნელი დათუკიშვილისაგან, კრედიტი ორწლიანი ვადით, ასევე გაფორმებული აქვს სასესხო ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკი“-თან, რომელთა საშუალებითაც მოხდა საწარმოსათვის შენობა-ნაგებობის შეძენა და რემონტი, ასევე წარმოების დასაწყებად აუცილებელი ნედლეულისა და მასალების იმპორტი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „გ.დ პლასტი“-ს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე: -საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“; -საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“; -ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

ფული და ფულის კომპონენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი; უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტების ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური კურსით.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს
	31.12.2019
აშშ დოლარი	2.8677
ევრო	3.2095

კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ზარალების ანგარიშში.

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

	2019
სალარო	36817
ბანკი	38931
	75748

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, და სხვა ვალდებულებების სახით. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა: მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2019 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასადხელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

-კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

-შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

-მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

-შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

დირექტორი:



/გ. გელაშვილი/

მთ. ბუღალტერი:



/გ. ბეროშვილი/